



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგალობლიშვილი ნელი ალექსანდრეს ასული



ნ. მგალობლიშვილი

მგალობლიშვილი ნელი ალექსანდრეს ასული (23. X. 1924, თბილისი, – V. 2004, იქვე), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1947 დაამთავრა თეატრ. ინტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან იყო ცხინვალის თეატრის ქართ. დასის, ხოლო 1948-91- რუსთაველის თეატრის მსახიობი. ეწეოდა პედ. საქმიანობას.

შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ცხინვალის თეატრში - მარინა (ი. მოსამვილის „სადგურის უფროსი“), ლუიზა (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“); რუსთაველის თეატრში - ფაიხოში (დ. ერისთავის „სამშობლო“), კესო (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“), ოფელია, დეზდემონა, კორდელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“), კეკე, სალომე (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერნკლიდან“), თინა (ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“), ქალბატონი პიჩემი (ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“), ბაბალე (მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეტურნეები“), მოქრისი (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“) და სხვ. მის შემოქმედება გამოირჩეოდა გმირების შინაგანი ბუნების სიღრმისეული გახსნით, სცენური მომხიბვლელობითა და დამაჯერებლობით.



ნ. მგალობლიშვილი
დეზდემონას როლში.
უ. შექსპირის "ოტელო".